საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 314 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №298 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №298 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/11/2013, 010240030.10.003.017465) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტი ხელს უწყობს გენერალური შტაბის საქმიანობის კოორდინაციას; ახორციელებს გენერალური შტაბის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას, გენერალური შტაბის უფროსისა და მისი მოადგილეების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, ექსპერტიზასა და ვიზირებას, გენერალური შტაბის საფინანსო და სანივთე უზრუნველყოფას, ადმინისტრაციული შენობის მომსახურებას, ნატოს

ქვერეგისტრის ფუნქციონირებას; კოორდინაციას უწევს საიდუმლოების რეჟიმის დაცვას, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**